№ 121
პარასკევი 11 ივნისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 121
პარასკევი 11 ივნისი, 1899 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ღირება 6 მან. 50 კაპ.

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.**
(30—78—7)

კვირას, 13 მაისს, საღამოს 8 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

**საგანგებო**

საზოგადო კრება

ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა“

კრებამ უნდა აირჩიოს ახალი თავმჯდომარე გამგეობისა ნაცვლად ალნიაშვილისა, რომელიც თავს ანებებს ამ თანამდებობას.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები.
(3—6.—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.** სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1$\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1$\frac{1}{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

სადამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7$\frac{1}{2}$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ.)

## მთავრობის განკარგულებანი.

დანიშნულ იქმნენ: ოზურგეთის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის ფოსტალიონი ალექსი დოლიძე იმავე კანტორის ფოსტა-ტელეგრაფის მე-VI ხარისხის მოხელედ; აზნაური გიორგი დვანაძე, სარდიონ მაღლაკელიძე და გედეხი გიორგი საგარეიშვილი—დაბალ ხარისხის ფოსტალიონებად: პირველი—ბათუმისა, მეორე—ზუგდიდისა და მესამე—ართვინის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში.

გადაყვანილ იქმნენ: ფოსტალიონები: ოზურგეთის ფოსტა ტელეგრაფის კანტორისა—ივანე ჩიგოგიძე, ონის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებისა ილია პეტრიაშვილი, ბათუმის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა ნოე ქლენტი, კრევნისა—ლავრენტი პიპია და ზუგდიდისა—ისიდორე ნაჭყეპია: ჩიგოგიძე—ონის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში, პეტრიაშვილი—ზუგდიდისა, ქლენტი—ჩოხატაურისა, პიპია ბათუმისა და ნაჭყეპია—კრევნის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში.

## ახალი ამბავი

*** 9 ივნისს ტფილისის ქალაქის საბჭომ მიანდო ქალაქის მოურავს გ. გ. ევანგულოვს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს ახლად გარდაცვალებულის სახელმწიფოს საბჭოს წევრის სენატორის ე. პ. სტარიცკის ნათესავთ. ამის შემდეგ საბჭომ, ქალაქის გამგეობის მოხსენების თანახმად, დადგინა:

გადაიდვას 300 მან. გ. გ. ქართველიშვილის სახლის შესაკეთებლად, რომელიც გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ამ ადგილას ქალაქის წყლის მილი გახეთქილა და სახლის ერთი კუთხე დაუზიანებია; გამოიცეს მე-3 სერიის ობლიგაციები 800 ათას მანეთის (500 ათას მანეთის—საყასბოს გასაკეთებლად და 300 ათასის ქალაქის ლომბარდის თანხის გასაძლიერებლად); მუშტაიდსა და აკლიმატიზაციო ბაღს შუა გაყვანილ იქმნას 10 საჟენის სიგანიანი ქუჩა დიდუბის ქუჩამდე, და შუამდგომლობა აღძრას ქალაქის გამგეობამ მთავრობის წინაშე, ჩამოერთვას ლორთქიფანიძეს ამ საქმისთვის 32 საჟ. მიწა, რომელსაც ქუჩა ვერ ასცდება და რომელშიაც პატრონი 30 ათას მანეთსა სთხოვს ქალაქს; მაგრამ რადგან შესაძლოა, რომ იქმნება ექსპროპრიაცია ადრე არ მოხდეს, ამიტომ ხმოსან ა. ს ბაბოვის წინადადებით, გამგეობას დაევალა ექსპროპრიაციის შესახებ შუამდგომლობასთან ერთად სთხოვოს მთავრობას ნება-რთვა, დიდუბესთან შესაერთებელი გზა მუშტაიდზედ იქმნას გაყვანილი.

საბჭომ არ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქმა შეიძინოს საავადმყოფოსათვის გენერალ ბუქყიაშვილის სახლი 70 ათას მანეთად და აგრეთვე ამ სახლის ვალი და დასამტკიცებელი ხარჯიც თითონვე იკისროსო.

*** ბუნების მეტყველებისა, ანტროპოლოგიისა და ეტნოგრაფიის მოყვარეთა საიმპერატორო საზოგადოებას გამოუგზავნია საზოგადოების წევრი ა. ს. ხახანაშვილი ტფილისის გუბერნიაში ხალხის ყოფა-ცხოვრებისა, ცრუ-მორწმუნეობათა, ზნე-ჩვეულებათა და ზეპირ-სიტყვაობის ეტნოგრაფიულად გამოსაკვლევად.

*** წელს ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში სწავლა დაამთავრა და საქალაქო სასწავლებლის მასწავლებლობის მოწმობა მიიღო 21 ყმაწვილმა, მათ შორის სამი ქართველია: დ. ათაბეგაშვილი, ი. ჯანდიერი და პ. ნადირაძე,

*** „ივერიის“ რედაქციის მიერ ცალკე წიგნად გამოცემული, ილია ჭავჭავაძის წერილი „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი“ სულ გაიყიდა. რედაქცია უკვე შეუდგა ამ წიგნის მეორედ გამოცემას.

*** იმ გამოფენათათვის, რომელთაც კავკასიის სამეურნეო საზოგადოება გამართავს წელს კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში, მიწად-მოქმედების სამინისტროს გადაუდვია 16 პატარა ვერცხლის მედალი და 16 ბრინჯაოს მედალი და 320 მან. გამოფენების გამართვის დასახმარებლად.

*** მიწად მოქმედების სამინისტროს გადაუდვია კავკასიის საბაღოსნო საზოგადოებისათვის 400 მან. აბრეშუმის საქსოვ იარაღების შესაძენად; ეს იარაღები უნდა დაურიგდეს იმ მეაბრეშუმეთ, რომელთაც ნამდვილად ესაჭიროებათ. საზოგადოების გამგეობას, მიუღია რა სახეში, რომ ამ იარაღების ხმარება ადგილობრივმა მეაბრეშუმეებმა ნაკლებად იციანო, განუზრახავს მოაწყოს მოძრავი აბრეშუმის საქსოვი სახელოსნო, რომელიც დაივლის კავკასიის ყველა უმთავრესს საბრეშუმო ადგილებს და გააცნობს მსურველთ ამ საქმეს.

*** რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მიეცეს მოიწვიოს სოხუმსა და ბაქოში ბაღოსნობის მიმდევართა კრება.

*** ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების თავად-აზნაურთა მამულების კერძო გარდასახადთა უმაღლესად დამტკიცებულის აღწერილობის თანახმად, ის ხარჯი, რომელიც საჭიროა: 1) დეპუტატთა საკრებულოს კანცელარიის სადგომის დასაქირავებლად და შესანახად, 2) დეპუტატთა საკრებულოს მოსაწყობად, 3) თავად-აზნაურთა წინამძღოლის კანცელარიის შესანახად, 4) პენსიების დასანიშნავად, 5) ვალების გზრდასახდელად და 6) სათადარიგო ფულის შესადგენად—უდრის ტფილისის გუბერნიაში—6,564 მან., და ქუთაისისაში—3,612 მანეთს.

*** ქუთაისის თავად-აზნაურთა მიერ აღძრული შუამდგომლობა გუბერნიაში ერობის შემოღების შესახებ ამ ჟამად, როგორც „ახ. მიმ.“-ს შეუტყვია, განსახილველად აქვს გარდაცემული კავკასიის უმაღლესს მთავრობას.

*** „კავკ.“-ს შეუტყვია, რომ კავკასიის უმაღლესის მთავრობის შუამდგომლობის გამო გარეშე საქმეთა სამინისტროს დაუვალებია საიმპერატორო ელჩთათვის ბერლინსა, პარიჟსა და ლონდონში, მისიებისათვის გაიგასა და ბრიუსელში, მინისტრ-პრეზიდენტისათვის ჰამბურგში და სადიპლომატიო აგენტისათვის კაირში დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივს მთავრობასთან ფოთის ქალაქის მოურავს ნიკოლაძეს მისის მოგზაურობის დროს საზღვარ გარეთ, სადაც მან ქალაქის მინდობილებით უნდა დაათვალიეროს და შეისწავლოს უცხოეთის ნავთსადგურები იმ აზრით, რომ იქ არსებული წესები, კონვენციები და ტარიფები გამოიყენოს ფოთის ნავთსადგურის შესახებ, რომელიც ამ ჟამად შენდება.

*** 1899 წ., ივნისის 10-ს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში საჯარო ვაჭრობა მოხდა ტფილისის გარეშე მყოფ ქალაქის მამულებისა. გამოცხადებული იყო გაზეთებში გასასყიდად სულ 249 მამული, ხოლო რადგან უმეტეს ნაწილ მამულების ხვედრი გარდასახადი დროზე შემოტანილ იქმნა, ამის გამო ვაჭრობაში ჩავარდა მხოლოდ 14 მამული, ამათში იყო: 1) ბათუმისა—3, 2) გორისა—1, 3) ქუთაისისა—4, 4) დუშეთისა—1, 5) სოფ. ახალქალაქისა (გორის მაზრაში)—1, 6) ახალციხეში—1, 7) ერევნისა—2 და 8) თელავისა—1. აქედგან გაიყიდა 11 მამული, ამათში: 1) ბათუმისა—3, 2) გორისა—1, 3) ქუთაისისა—2, 4) დუშეთისა—1, 5) სოფ. ახალქალაქისა—1, 6) ასალციხისა—1, 7) თელავისა—1 და 8) ერევნისა—1. დარჩა ხელმეორედ ვაჭრობით გასასყიდად, რომელიც მოხდება 30 ამათვეს, 3 მამული, ამათში: 1) ქუთაისისა—2 და 2) ერევნისა—1. გაყიდულ 11 მამულზე ირიცხებოდა ბანკის ვალი, თავნი და სარგებელი სულ 49,482 მან. 98 კაპ., ხოლო გაიყიდა 73,162 მან.

*** „ტფ. ფ.“-ს სწერენ სიღნაღის მაზრიდგან: „ჩარჩებმა მოასწრეს შაბიამანის ბლომად შეძენა ვენახების საწამლად. ჯერ მათგან შაბიამანს არა ჰყიდულობენ, რადგან ეს წამალი სამეურნეო საზოგადოების ადგილობრივს საწყობში კიდევ არის, მაგრამ როგორც კი გამოილევა, მაშინ ვაჭრები გახსნიან თავიანთს საწყობებს და, რასაკვირველია, ფასი ერთბაშად აიწევს 8—9 მანეთამდე ფუთზედ. საჭიროა აღვნიშნოთ ისიც, რომ ადგილობრივ წურბელათა შორის არიან ისეთი კაცები, რომლებმაც სხვა კაცების შემწეობით იაფად იყიდეს შაბიამანი საზოგადოების საწყობიდგანაო.

*** ქ. ქუთაისი. 7 ივნისს, საღამოს 7 საათზედ, სასტუმრო „ორიანტის“ წინ საშინელი უბედურება დატრიალდა. თ. გიორგი ჩიჩუა დაბრუნებულიყო სასტუმროში დასაძინებლად. ამ დროს წინ შეხვედროდა აზნ. ნესტორ მგელაძე. წალაპარაკების შემდეგ ერთმანეთს ხანჯლებით სტაკებოდნენ. თ. გიორგი ჩიჩუა სასიკვდილოდ არის მუცელში დაჭრილი. ნესტორ მგელაძეს-კი მცირე ჭრილობა აქვს თავში და ორ-სამ ადგილას სხვაგან. ამ ჟამად თ. ჩიჩუა იმყოფება თოფურიას საავადმყოფოში და მისი მორჩენის იმედი არა აქვთ. ამბობენ, რომ ეს ლაპარაკი გამოუწვევია ბანკის არჩევანებსაო. ზოგი-კი იმას ამბობს, რომ იმათ ძველი უსიამოვნება ჰქონდათ ერთმანეთთანაო.

*** ს. საბუე, (თელავის მაზრა). 22 მაისს დილა მოღრუბლული დაგვიხვდა, აქა-იქ ქუხილი ისმოდა,—გაირბინა დღემ მეტად უსიამოვნოდ და რაწამს ბინდმა შემოჰკრა, აიმღვრა ცა, იჭექა გულ-შემზარავად, ასტყდა ქარიშხალი და მსხვილ-მსხვილი, კაკლის ოდენა სეტყვა წამოუშინა. ქარმა სუყველა ძირს დასცა. სწვიმდა სახლებში, როგორც გარეთ და სეტყვამ მოჰქდა არე მარე თეთრად. რომელი ერთი აგიწეროთ: ვენახები ხომ ჩვენი აღარ არის, აგრეთვე არც ყანებია ჩვენი; არც საქონელს დააყარა კეთილი, მრავალი სული გაჟღიტა და სხვა. ზარალი საბუელების და ალმატელებისა 4,000 მანეთს აღემატება.

*** ს. ნებითი ქრისტიანი, (კავკავის მაზრა). ამას წინად ამ სოფელში მცხოვრებმა აკოევმა განიზრახა თავისი მეზობლისა სანდრო ელბაევის დუქნის აფეთქება თოფის წამლით, მაგრამ ღმერთმა თავათვე დასაჯა ბოროტ-განზრახველი. როცა ასაფეთქებლად ამზადებდა წამალს, უცბად იფეთქა წამალმა და მარჯვენა ხელი სულ მოჰგლიჯა. საქმე ასე გამოირკვა: აკოევი ელბაევს დასა სთხოვდა, მაგრამ არ მისცა; ამიტომ თურმე მოინდომა შურის ძიება და ელბაევის დუქნის აფეთქება განიძრახა. აკოევი კავკავის მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს.

*** ს. ატოცი, (გორის მაზრა). ორს ივნისს, ნაშუადღევს, მოვიდა საშინელი დიდი სეტყვა, რომელმაც გასტანა საათზედ მეტ ხანს. სოფლებს ატოცსა, ბრეძსა, საციხურსა, აბანოსა, კოდასა, ქალეთსა და ბალთაში მთლად მოსპო ვენახები და ყოველივე ნათესი. რაც დააკლო სეტყვამ, ის შეუსრულა ლესტერმა. სულ ძირიანად დაგლიჯა ვაზები, სიმინდი და ყანები.

*** ახალ სენაკი. 7 ივნისს აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ერთს მეეტლეს ახალსენაკიდგან სოფ. ძველ სენაკში მგზავრი მიჰყავდა. შუა გზაზედ, სადაც ჩაღმართი ადგილია, მეეტლეს ცხენები ვერ შეუკავებია, ეტლი ცოტა გაქანებულა, მგზავრს შეშინებია, ეტლი გადაბრუნდებაო, მგზავრი გადმომხტარა, მაგრამ სასიკვდილოდ დაშავებულა. მეეტლემ სულთ-მობრძავი მგზავრი ისევ ახალსენაკში მოიყვანა, მაგრამ საბრალოს წამალიც ვერ მოასწრეს, უცებ გარდაიცვალა.

ამავე დღეს მდინარე ტეხურში ბანაობის დროს დაიხრჩო 17—18 წლის ყმაწვილი; ძლივს-ძლივობით იპოვნეს დამრჩვალის გვამი. ამავე დღეს კიდევ ზუგდიდის მაზრაში ძმამ ღვიძლი თავისი ძმა მოჰკლა.

*** ტფილისის იუნკერთა სასწავლებელში დასრულდა კურს-დასამთავრებელი და გადასაყვანი ეგზამენები და სასწავლებელი საბანაკოდ გადავიდა სურამში.

*** საქართველოს ეგზარხოსი მაღალყოვლად უსამღვდელოესი ფლაბიანე ამ კვირის გასულს მარტყოფის მონასტერში გაემგზავრება საზაფხულოდ.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარია 26 ივნისს კოჯორში გადავა.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 9 ივნისს დაადგინა მონაწილეობა მიიღოს რძის ნაწარმოებთა გამოფენაში, რომელიც გაიმართება პეტერბურგს.

## საზოგადო წლიური კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წევრთა.

7 თიბათვე 1899 წ.

შემდეგ წაკითხულ იქმნა ცალკე კიდევ მეორე მუხლი ნოე ჟორდანიას განცხადებისა, რომელშიაც ბ-ნი ჟორდანია ჰბრძანებდა: მე ვთხოვ გამგეობას ამიხსნას, რა პედაგოგიური მოსაზრება მოითხოვს ასეთს პატარა სკოლაში, როგორც სენაკის სათავად აზნაურო სკოლაა, სადაც ჰსწავლობს 100—130 მოწაფე, ამდენის მასწავლებლის (5-ის) დაჭერას, როდესაც მეორე ალაგას სრული უსკოლობაა და უმასწავლებლობა. ამასთანავე მე ვითხოვ, გამოკვლეულ იქმნას მიზეზი მოწაფეთა ასეთის სიმცირისა და, თუ ეს აუცილებელია, იმ შემთხვევაში შემოკლდეს მასწავლებელთა შტატი და ხარჯი და სამაგიეროდ ასეთივე სკოლა დაარსდეს მეორე ალაგას.

საზოგადოების თავმჯდომარემ და გამგეობის სხვა წევრებმა განმარტეს, რომ გონივრული პედაგოგიური მოსაზრება მოითხოვს იმას-კი არა, რომ ბევრს მოწაფეს ცოტა მასწავლებელი ჰყავდეთ, არამედ იმას, რომ ცოტა მოწაფეებს ბევრი მასწავლებელი ჰყავდეთ. ერთს მასწავლებელს, მაგალითად, უფრო კარგად შეუძლიან წარმართოს ის კლასი, რომელშიაც ოცი მოსწავლეა, ვიდრე ის, რომელშიაც ორმოცია. კეთილ-განწყობილ სკოლად ის სასწავლებელი-კი არ ითვლება, სადაც მასწავლებელი მოსწავლეთა სიმრავლით ვერ ასწრობს პროგრამის გავლას, არამედ ის, სადაც იმდენი მოსწავლე ჰყავს თითო მასწავლებელს, რომ სიმრავლე ხელს არ უშლის სწავლის გადაცემასა და მოსწავლეთაგან მის შეთვისებაში. არამც თუ ბევრად უნდა ჩავთვალოთ 5 მასწავლებელი 100—130 მოსწავლისათვის, არამედ სანატრელად უნდა მიგვაჩნდეს, რომ ასე იყოს ყველა სკოლაში. ნეტავი იმოდენა შეძლება მიეცეს ყოველს კაცს,—სთქვა თავმჯდომარემ,—რომ თავის შვილისათვის შეეძლოს თითო მასწავლებლის დაჭერა. ამითი სწავლის საქმე თუ არ მოიგებს, არას წააგებსო. სენაკის სკოლაზე იხარჯება 7000 მან. და არა ნაკლები, მაგ. 2,000 მან., როგორც ბათუმის სკოლაზე. ცხადია, რომ მეტის საშუალებით უფრო კარგად შეიძლება მოეწყოს სკოლა, ვიდრე ნაკლების საშუალებითო. ღმერთმა სენაკის სკოლას მისცა საშუალება და თქვენ-კი იძახით, რად უნდა ამდენიო, თითქო სკოლას ეს საშუალება აწყენდეს. ამას გარდა, განმარტა გამგეობამ, სენაკის სკოლას ჩვენი საზოგადოება-კი არ ინახავს, ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი ინახავს, და, თუ ამ ბანკს შესაძლებლად მიაჩნია ამდენი დახარჯოს სკოლაზედ, ჩვენ როგორ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამდენი არ უნდა იხარჯებოდესო. ნოე ჟორდანიამ გაიმეორა კიდევ, რომ სენაკის სკოლისათვის ბევრია 7,000 მან. იმიტომ, რომ ამისთანავე სასწავლებელზედ, რომელიც საზოგადოებას ბათუმში აქვსო, იხარჯება მხოლოდ 2,000 მან., იქ სწავლობს გაცილებით მეტი მოსწავლე და სწავლაც მშვენივრად არის დაყენებული, როგორც თქვენი ანგარიშიც ჰმოწმობსო. გამგეობამ შენიშნა, რომ ბათუმის სკოლა არ არის ისეთივე სკოლა, როგორც სენაკისა. ამ უკანასკნელში პროგრამა უფრო კარგია: ოთხი კლასია და მიზანიც უფრო ფართო აქვსო. სენაკის სკოლა ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის პირველის კლასისთვისო.

მ. ნასიძე. ჩვენ შეგვიძლიან ვცნოთ სენაკის სკოლის ხარჯი მომეტებულად იმიტომ, რომ შედარებით მცირე ნაყოფი მოაქვს. 7,000 მანეთი იხარჯება და 100—130 მოსწავლე იზრდება იმით. როდესაც საზოგადოების ფულს ჰხარჯავთ, შეგვიძლიან და მოვალენიც ვართ ვიკითხოთ, დახარჯულს ფულს რა ნაყოფი მოაქვს. სენაკის სკოლის ნაყოფი-კი მცირეა. ამიტომ 7,000 მან. გვებევრება.

თავმჯდომარემ შენიშნა კიდევ, რომ ჩემის აზრით, სწავლის ნაყოფი ფულით არ დაფასდებაო. სკოლის პატრონი შესაძლებლად ჰპოვებს სკოლაზე დახარჯოს 7,000 მან. და ჩვენ როგორ შეგვიძლიან შევამოკლოთ იგი. პირ-იქით ჩვენ უნდა გვიხაროდეს, რომ სკოლას ღმერთმა მისცა საშუალებაო, არა თუ ვცდილობდეთ მის ჩამორთმევასო. ნოე ჟორდანია განმეორებით ამბობს, რომ იმ ფულით სხვაგან დავაარსოთ სკოლა კიდევაო. გამგეობის წევრთ უპასუხეს ჟორდანიას, რომ სხვაგან სკოლის დაარსება ძალიან საეჭვოაო.

პეტრე უიფიანი. კარგი იქმნება ვიცოდეთ, სენაკის სკოლაში შედარებით სხვა სკოლებთან ასე მცირე რიცხვი მოსწავლეებისა რად არის და თუ აღმოჩნდება, რომ მოსწავლეთა რიცხვის სიმცირე რაიმე შინაურის მიზეზების ბრალია, მაშინ ეს მიზეზები უნდა მოვსპოთ და არა ხარჯი შევამოკლოთო.

გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი ნ. ცხვედაძე. სენაკის სკოლაში გამოძიება სწარმოებს და ეს გამოძიება აგვიხსნის მაგ მოვლენის მიზეზსაც.

ნ. ჟორდანია. ამ მოვლენის მიზეზი, ცხადია, სკოლის შინაური გარემოება არის.

ბ-ნი მ. ნასიძე სენაკის სკოლის მოსწავლეთა სიმცირეს პირდაპირ გამგეობას აბრალებს, რადგან მის აზრით, სკოლაში დატრიალებულა ისეთი გარემოება, რომელიც აფერხებს სკოლის წარმატებას.

გამგეობის მდივანი. თუ გნებავთ, მოსწავლეთა სიმცირის ერთად ერთს, უმთავრესს მიზეზს მე დაგისახელებთო: სენაკის სკოლას აზრად აქვს მოსწავლეთა მომზადება გიმნაზიისთვის. სენაკის დაბის გარეშე სოფლებიდგან შვილები მოჰყავთ მხოლოდ იმათ, ვისაც საგიმნაზიოდ უნდა მოამზადებინონ შვილი, მაგრამ სენაკის თავად-აზნაურობა, რომელსაც შეძლება აქვს, მომეტებულად არჩევს შვილი წაიყვანოს ქუთაისში, ხოლო შეუძლებელი აზნაური ვერ ბედავს გიმნაზიისთვის მოამზადებინოს თავის შვილი, რადგან იმან იცის, რომ მას არ შეეძლება განაგრძობინოს სწავლა სენაკის იქით, ეს, სხვათა შორის, იქიდგანაც ჩანს, რომ სენაკის სკოლაში სწავლა-დამთავრებულთაგან ძალიან ცოტანი მიდიან ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაშიც-კი, სადაც გამოუცდელად იღებენ და სადაც უფრო იაფად უჯდებათ სწავლა. სენაკის მაზრაში თითქმის ყველა სოფელში დაარსდა სასწავლებლები. და ღარიბს აზნაურს წერა-კითხვის სწავლისათვის აღარ მოჰყავს სენაკის სკოლაში. წინად თუ ამ სკოლას ეტანებოდა ქართულის ენის გულისათვის, ახლა ღარიბის მშობლის თვალში ამ სკოლას აღარც ეს უპირატესობა აქვს, რადგან სამრევლო სკოლებში ასწავლიან ქართულს. თვით სენაკის დაბაში კი ჩვენის სკოლის გარდა ორი სხვა სასწავლებელიც არსებობს—სამინისტრო და სამრევლო, სადაც ქართულს ენასაც ასწავლიან. ასე რომ ამ დაბის მოსწავლენი სამს სასწავლებელში იფანტებიან. იმ მოსწავლეთაგანაც, რომლებიც ჩვენს სკოლაში შედიან, ბევრნი ერთის წლის შემდეგ ანებებენ თავს, რადგან ისინი სიღარიბისა გამო სჯერდებიან ქართულს წერა-კითხვას, როგორც მეტის მეტად საჭირო საგანს. სხვები მეორე წლის გასულს ანებებენ თავს, რადგან ისინი რუსულს წერა-კითხვასაც სწავლობენ, ხოლო მცირედი ათავებს კურსს. ყველა ამ მიზეზისა გამო ადვილი ასახსნელია, რატომ არიან შედარებით ცოტანი სენაკის სკოლის მოსწავლენი.

მ. ნასიძე. მართალია, მდივანმა ახლა ასეთი განმარტება მოგვცა სკოლის მოსწავლეთა სიმცირისა, მაგრამ ანგარიშში თვით იმასსავე ხელით არის ჩაწერილი იმისთანა გარემოება, რომელიც უნდა დასახელებულ იქმნას ნამდვილს მიზეზად აღნიშნულის მოვლენისა. ეს ის გარემოებაა, რომ გამგეობას ვითომ საქმის სარგებლობისათვის შუა წელში გადაუყვანია სამი მასწავლებელი სენაკის სკოლიდგან სხვა სკოლებშიო.

მდივანი დ. კარიჭაშვილი. ეგ გარემოება რა შუაშია, როდესაც გვინდა გავიგოთ მიზეზი მოსწავლეთა სიმცირისა? მასწავლებელნი, რომელნიც ბათუმის სკოლაში, ამ ჩვენის ანგარიშის თქმით, „სწავლა-განათლების ლამპარში" ჰმასწავლებლობენ, ერთი—ორის წლის წინად სენაკის სკოლაში ასწავლიდნენ და, თუ გარეშე მიზეზი არ აბრკოლებდა მოსწავლეთა გამრავლებას, რატომ მათ ხელში ისევე ბევრი მოსწავლე არ იყო სენაკის სკოლაში, როგორც ბათუმისაშია ახლა? მასწავლებლები გადაყვანილ იქმნენ შუა წელში-კი არა, არამედ სასწავლო წლის დაწყებამდე.

ბევრის ბაასის შემდეგ თავმჯდომარემ სთქვა: ამ საგანზე ბევრი ითქვა და დროა ბოლო მოეღოსო. რა გნებავთ, რა დადგენილებას ინებებთო. რადგანაც ზოგიერთებს ჰსურთ, რომ სენაკის სკოლაზედ ხარჯი შემცირდეს და ერთი სხვა სკოლაც დაარსდეს იმ გადარჩენილის ფულით, ვსთხოვ კრებას ამ კითხვის შესახებ დაადგინოს რამე; ვისაც ჰსურს ამ წინადადების განხორციელება, ვსთხოვ ინებოს წამოდგომაო. წამოდგა მხოლოდ ერთი,—ნოე ჟორდანია. შემდეგ თავმჯდომარემ იკითხა: ვინც ფიქრობს, რომ სკოლის არა-ნორმალურის წეს-რიგის გამო ცოტაა მოსწავლე სენაკის სკოლაში და ამის გამო აცხადებს თავისს მწუხარებას, ვთხოვ ინებოს წამოდგომაო. წამოდგნენ მხოლოდ სამი: ნ. ჟორდანია, ან. წერეთლისა და მ. ნასიძე.

(დასასრული იქნება)

## ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის წარმომადგენელთა კრება.

4 ივნისი

კრება დაიწყო დილის 11 საათზედ. დ. ნ. ბაქრაძემ განაცხადა, რომ კომისიაში მონაწილეობას ვერ მივიღებო. მისს მაგიერ კრებამ ამოირჩია ქუთაისის მაზრის მარშალი თ. ნიჟარაძე. თავმჯდომარემ თ. წერეთელმა განსახილველ საგნად გამოაცხადა ამოწერა რევიზორის ანგარიშიდგან. კრებამ სურვილი გამოაცხადა, რომ წაკითხულ იქმნას დასკვნა ანგარიშისა, რომელიც შეიცავს 22 მუხლს. თავიდგან ბოლომდის ანგარიშის კითხვა კრებაზედ შეუძლებელ საქმედ მიიჩნიეს. ოქმი წინა დღისა კრებამ დაამტკიცა.

გ. ს. თაყაიშვილმა წაიკითხა რევიზორის ანგარიშიდგან მე-70 გვერდი და ჰკითხა გამგეობას: რა მიზეზია, რომ 1890 წლიდან დაწყებული გადასახადის ვალების ჯამი ასე ძლიერ დიდდება? მართალია, რომ გამგეობა განგებ აძლევს ბანკის მსესხებლებს შეღავათს, რათა მიიმხროს თავისკენ ამორჩევის დროს? მართალია, რომ გამგეობა არავითარ ზომას არა ხმარობდა, რომ მსესხებლები იძულებული გაეხადა თავთავის დროზედ გადასახადი შემოეტანათ? დარჩენილის მამულების საჯარო ვაჭრობის დანიშვნა გამგეობაზეა დამოკიდებული თუ არა? აი, რევიზორის ანგარიშში მოხსენებულია, რომ გარდასახადი ვალი თავისს დროზე არ შემოუტანიათ ისეთს მსესხებლებს, რომელნიც საკმაოდ შეძლებულ კაცებად ითვლებიან და შეღავათი მათთვის საჭირო სრულიად არ იყო; წარმოიდგინეთ, რომ ამისთა მსესხებელთა რიცხვში ყოფილა თითონ ბანკის თავმჯდომარე კ. ნ. ჩიკვაიძე და დირექტორი ი. პ. ჯაიანი. მე ვფიქრობ, რომ აქ სხვა საპატიო მიზეზს არავითარი ადგილი არა აქვს; აქ სჩანს მხოლოდ გამგეობის თვითნებობა. წელან ბ-ნმა ჩიკვაიძემ ჰბრძანა, რომ ყველა კანონი არ შეიძლება ასრულდესო, არის დრო და ადგილი, როცა საჭიროა კაცმა ამას გვერდი აუხვიოს და გაჭირვებულ ადამიანს შეღავათი და დახმარება აღმოუჩინოსო. შეღავათის მიცემა და დავალება დიახ მოსაწონი თვისებანია მაშინ, როცა ამას ჩვენის საკუთარის ჯიბიდგან მოვახერხებთ, ხოლო დიდად დასაძრახისი და შეუწყნარებელი დანაშაულობაა, როცა ამას ჩვენ საზოგადოების თანხიდგან ვეწევით. ბ-ნი კ. ჩიკვაიძე ჰბრძანებს: კარგად ვიქცეოდი, თუ გლახად ამას საზოგადოება ჰხედავდა და აფასებდაო. თუ მოვწონვარ ამომირჩევენ, თუ არა-და, არ ამომირჩევენო; ამის თქმა არ ივარგებს; რევიზორი დღეს ბრალსა სდებს გამგეობას.

გ. ნ. ჩიკვაიძე. უნივერსიტეტში მეც მისწავლია, ცოტაოდენი კანონებისა მეც მესმის. იმას როგორ ვიტყვი, რომ ყოველი კანონი შესასრულებელი არ არის თქო. მე იმას მოგახსენებთ, რომ თუ ნამეტანი ძალა დავატანეთ მსესხებლებს, შეიძლება შფოთი ასტყდეს, უსიამოვნება გამოიწვიოს ამან საზოგადოებაში. ბ-ნი თაყაიშვილი კაბინეთის კაცია, ჩვენ ცხოვრებას პრაქტიკულად ვერ უყურებს. დარწმუნებული ვარ, ის რომ ჩვენსავით საქმეში ჩადგეს, სულ სხვას იტყვის. წინადადების მიცემა ადვილია და განხორციელება ძალიან ძნელია. ხან სასტიკადაც ვიქცეოდით, მაგრამ არაფერი გამოვიდა. სასტიკობა ამ გვარ საქმეში არ გამოდგება. მსესხებლებს რომ სასტიკად ზოგჯერ ჩვენც ვექცეოდით, ეს სჩანს იქიდგან, რომ გამგეობამ უარი უთხრა თავად-აზნაურობას, როცა იმ უკანასკნელმა ეკონომიურის დაქვეითებისა და სიმინდის გატანის აკრძალვის გამო ითხოვა დავალიანებულის მამულების ვაჭრობა დანიშნულ ვადას გადაგვეცილებინა. რაიცა შეეხება იმას, რომ ხანანაშვილმა და მებუკემ რამდენჯერმე ვადას გადააცილეს ვალის შემოტანა, უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ხანანაშვილი იმ დროს თითქმის გაკოტრებულად ითვლებოდა, თუმცა სახელი მდიდარის ვაჭრისა ჰქონდა; მებუკეც ასეთ მდგომარეობაში იყო: იგი მევახშედ ითვლებოდა და, როცა მოკვდა მაინცა და მაინც დიდი ქონება არ დარჩენია ცალიერის ვექსილების მეტი. აქ მე დიდ უბედურებას და ზარალს ვერ ვხედავ ბანკისათვის; მეც ვისარგებლე ამ შეღავათით, მეც გადავაცილე ვადას, ყველამ იცის, რომ არც მე ვარ მდიდარი კაცი. ვიმეორებ, ამ ნაირის შეღავათით არავინ არ ჰზარალობს: არც ბანკი და არ მსესხებელი. ეს ყველასთვის ცხადია, ვინც ცხოვრებას უკვირდება და კაბინეთში არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აწყობს გეგმას. (გამგეობის მომხრეებს მოსწონთ ეს სიტყვა).

თ. ნ. ერისთავი. (დირექ.) რევიზორის ანგარიშის მიღების შემდეგ ჩვენ უფრო კმაცრად მოვექეცით მსესხებლებს და მსესხებლებმაც თავიანთ დროზედ შემოიტანეს გარდასახადი, თუმცა დარჩენილის მამულების რიცხვმა მოიმატა.

დ. ბ. ხელთუფლიშვილი. მე გამგეობის პოლიტიკას შევეხები მხოლოდ იმ მხრივ, თუ რავდენად საზარალოა იგი ბანკისათვის და თვით მსესხებლისათვის. ვსთქვათ მე მსესხებელი გახლავარ და ყოველ წლობით უნდა შევიტანო ორასი მანეთი: ნახევარი ამ ვალისა წლის პირველ ნახევარში და დანარჩენი მეორე ნახევარში. ასის მანეთის მაგივრად შემაქვს მხოლოდ ხუთი თუმანი; დანარჩენი ხუთი თუმანი რჩება ჩემზედ „ნედოიმკად“, რომელსაც წლის მეორე ნახევარში მიემატება ასი მანეთი და ჯარიმა; ცხადია, თუ ასის მანეთის შეტანა ვერ შევიძლე, 150 მანეთის და კიდევ ჯარიმის შეტანა უფრო გამიძნელდება და ნივთიერად დამჩაგრავს, ახლა ეს 150 მან. უნდა გაიყოს და ამას მიემატოს მეორე წლის შემოსატანი. ამ გვარად მსესხებელი ებმება ისეთს მახეში, რომლისგანაც ვერას გზით ვერ გამოვა და ძალაუნებურად იძულებულია დაგირავებული მამული ბანკს დაუტოვოს. ამ მხრივ ბანკი მომაგონებს მევახშეს, რომელიც სცდილობს მოვალეს დროზედ არ გადაახდევინოს ვალი, ვალს მიუმატოს სარგებელი, ჯარიმა და სხვა და ისე ჩაიგდოს კლანჭებში, რომ საცოდავი მსხვერპლი სამუდამოდ მისი მონა გახდეს. თითონ ბანკისათვის რომ საზარალოა, ესეც ცხადია. ბანკსაც თვისი ხარჯები აქვს, პასუხი უნდა გასცეს გირავნობის ფურცლების პატრონს, თუ დროზედ არ შემოვიდა გადასახადი, რით გასცეს ბანკმა პასუხი ყველას? ამით ბანკს სახელი და რწმენა დაეკარგება და ეს გარემოება სიკვდილი იქმნება ბანკისათვის!

აქ კი ბ ნთ იაშვილმა და გამყრელიძემ ის აზრი წარმოსთქვეს, რომ ამ ნაირი შეღავათი ძლიერ სასარგებლოაო.

კ. ს. თაყაიშვილი. მართალია, რომ ბ-ნი ჩიკვაიძე პრაქტიკის კაცია, მე კაბინეთისა, როგორც ის ამბობს. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ყოველ საქმისა თვის, ყოველ მოვლენისათვის ლოგიკა, საზომია საჭირო და არა თვითნებობა. თვითნებობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს რომელსამე აზრის განხორციელებაში. ვერ გამიგია, როგორის ლოგიკით ხელმძღვანელობდა გამგეობა, როცა მთელმა თავად-აზნაურობამ, ეკონომიურად შევიწროებულმა და სიმინდის საზღვარ გარეთ გაუტანლობისა გამო შეწუხებულმა სთხოვა დაგირავებულის მამულების ვაჭრობა ორის თვით გადიდვასო და გამგეობამ კი ეს თხოვნა არ შეიწყნარა; ხოლო კერძო შემთხვევებში კი საჭიროდ დაინახა გამგეობამ მსესხებლებს შეღავათი მისცემოდათ. იქნება კაბინეთის კაცი ვიყო, მაგრამ ცოტაოდნად ცხოვრებას მეც დავკვირვებივარ, ვიცი, რომ ვალის გადახდა თავის დროზედ გვეზარება მაშინაც კი, როცა ჯიბეში ფული გვაქვს. წარმოიდგინეთ გამგეობის შეხედულება რა მშვენიერს ნიადაგს იძლევა ჩვენის დაუდევრობისა და უზრუნველობის განსახორციელებლად. მე სწორედ იმ აზრისა ვარ, რომ კანონის მოთხოვნილება უეჭველად უნდა ასრულდეს; ზოგიერთ შემთხვევაში კი დარიბს მსესხებელს შეღავათი მიეცეს, მაგრამ ამ შეღავათის მიცემაშიაც რაიმე წეს რიგი უნდა იყოს დადგენილი და არა „მე მსურს და ასე უნდა იყოსო.“ ნუ თუ მარტო ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ ადგიათ გაჭირვება, ტფილისის გუბერნია კი აცილებულია ამას? ნუ ათქმევინებთ მსესხებლებს: „არა უშავს რა, ახლა არ შევიტან, მერეც მოვასწრებ, ბანკში ისეთი მოსამსახურენი არიან, რომ დაგვაცლიანო“

გ. ნ. ჩიკვაიძე. ბატონებო, მეც კარგად მესმის, რომ კანონი, რაც გინდ ცუდი იყოს, მაინც უნდა ასრულდეს, იმიტომ რომ იგი კანონია, მაგრამ ეს სიტყვით ითქმება, თორემ საქმით ძნელია ამის ასრულება. თუ შეღავათი მიმიცია, ეს ცუდის განზრახვით არ მომსვლია. მსესხებლის მდგომარეობაში შევსულვარ და ამით მიხელმძღვანელია.

ა. თ. ნანეიშვილი. როგორ ვუშველოთ გაჭირებულ მდგომარეობას? კანონის მოთხოვნილება უნდა უეჭველად შესრულდესო რომ ვამბობთ, ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, დაარჩვეო; არა, კანონი უნდა ასრულდეს და მსესხებელიც არ დაიჩაგროს. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ თვითნებობას გამგეობისას, ანუ მისის წევრისას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. შეღავათის მიცემაც დავაკანონოთ ისე, როგორც ეს ნაჩვენებია ტფილისის ბანკის წესდებაში (კითხულობს ამ §-ს). ბ-ნ ნანეიშვილმა სთხოვა თავმჯდომარეს, რომ ამ § ის შესახებ მაშინ ვიბაასოთ, როცა წესდების შეცვლისგამო გვექნება რაპარაკიო. კრებამ მიიღო ნანეიშვილის წინადადება.

(შემდეგი იქნება)

## ფოთის ავ-კარგის შესახებ.

(გაკვრით)

ფოთის ავ-კარგს თუ გული გადავუშალეთ, ბევრს რამეს გვეტყვის საგულისხმოს, მაგრამ ამას შემდეგისათვის გადავდებთ და ეხლა გეტყვით იმ ამბის შესახებ, რომელიც ია-ვარდით მონაკაზმ მაისის თვეში მოხდა. მაისი? სხვაგან რა მოგახსენოთ და ჩვენში-კი სატრფიალო თვედ გადიქცა, რადგან მაშინ, როგორც უკვე მოგეხსენებათ, პარკში შვიდის დღის განმავლობაში იმართება ეგრედ წოდებული „მაისობა“. პირველი მაისი შესანიშნავია იმითი, რომ აქ იმართება მამა-პაპური ბურთაობა, სადაც მოთამაშენი გურულ-მეგრელნი ერთმანეთს შეეტაკებიან ხოლმე მოედანზედ სივაჟკაცის გამოსაჩენად. შემდეგ მაისობას იარმუკობა და ლხენა-შექცევა მოსდევს. ამ დროს აქაური მკვიდრი, არ გეგონოს მკითხველო, თავისს ესტეტიკურ გრძნობების დაკმაყოფილებას მარტო ახლად აღყვავებულ ბუნების ცქერასა და ლხინში ატარებდეს, არა, ზოგჯერ ის პირად სიამოვნებასთან ერთად საზოგადო საქმეებისთვისაც ჰფიქრობს, მაგალითად: სკოლების, სამკითხველოს და სხვათა გაუმჯობესებისათვის. რომ ეს ცხადია, ამას გვიმტკიცებს ის გარემოება, რომ ხალხი ბლომად დაესწრო: საქველ-მოქმედო საღამოს, ბაღში სეირნობას და ბაზარს, „წმინდა ოლგას დედათა სკოლის“ სასარგებლოდ გამართულს, აგრეთვე ქართულ წარმოდგენას, რომელიც ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოდ იყო გამართული. მართალია, პირველ საღამოს პროგრამმა საინტერესო არ იყო, მაგრამ რადგან კარგს აზრს ემსახურებოდა, ამისათვის ხალხი ბლომად დაესწრო. ნათქვამია: „კოკა მუდამ წყალს ვერ მოიტანსო“, ამას მოგახსენებთ საცეკვაო საღამოების შესახებ, რომელიც ჩვენში ხშირად იმართება საქველ-მოქმედო აზრით. ცნობილია, რომ ერთგვარობა ადამიანს თავს აბეზრებს; ამისათვის სასურველია, ხალხმა რომ გული არ აიცრუოს საღამოებზედ, პროგრამის გაღლფერება, თორემ შენი მტერია, მარტო ცეკვით ლამის ჰკუა ფეხებში ჩამოვიდეს. ჩვენის ფიქრით, თუ უფროსი სკოლისა და მოთავენი საქმისა გაირჯებიან, სალიტერატურო პროგრამის შედგენა და შესრულება სკოლისათვის საძნელო არ უნდა იყოს.

იმავე სკოლის სასარგებლოდ ქალაქის ბაღში გაიმართა სეირნობა და ბაზარი. სეირნობა ბავშვებისათვის დაიწყო ნაშუადღევიდგან და გასტანა შვიდ საათამდის. დიდები სასეირნოდ მაშინ უფრო მიდიოდნენ ბაღში, როცა ახალი თაობა დაიშალა. ბავშვების გუნდი ბაღში ერთ დანიშნულ ალაგას იყრიდა თავს, სადაც სხვების ხელმძღვანელობით თამაშობდნენ. ბაზარმა სკოლას კარგი ხეირი მისცა, ასე რომ უმადურნი არც ამ საქმის მოთავე მანდილოსნები დარჩენილან. რომ უფრო ესიამოვნებინათ ჩვენის საზოგადოებისათვის და ცოტაოდენი ზნეობრივ-გონებრივი მასალაც მიეწოდებინათ, ამისათვის ახალგაზდობამ განიზრახა ქართულის წარმოდგენის გამართვა. როგორც უკვე გატყობინებდით, ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ სამკითხველოს სასარგებლოდ აღგვითქვა წარმოდგენაში მონაწილეობა და კიდეც შეასრულა დანაპირები. ადგილობრივ სცენის მოყვარეთ ისარგებლეს ნიჭიერ მსახიობის დახმარებით და კლუბის დარბაზში ქართული წარმოდგენა გამართეს, რომელმაც საზოგადოება ბლომად მიიზიდა. რადგან წარმოსადგენად სამხიარულო პიესები იყო არჩეული და მოთამაშეთაც კარგად შეესწავლათ როლები, დამსწრე საზოგადოებამ დიდად ისიამოვნა. წარმოდგენის დროს ქ-ნ გაბუნია ცაგარლის ნიჭის პატივისმცემელ საზოგადოებამ თაიგული და ძვირფასი საჩუქარი მიართვა წარწერით: „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას“.

თუმცა მაისმა ჯიბეები შეგვისუმბუქა, მაგრამ იგი არც ისე წასულა, რომ ერთხელ მაინც მუქთად სიამოვნების ბეჭედი არ აღენიშნა ჩვენს გულში. ამას მოგახსენებთ იმ სალიტერატურო-სამუსიკო საღამოს შესახებ, რომელიც უსასყიდლოდ ქალაქის სასწავლებელში იყო გამართული. საღამოზედ ბარათებით იყო ინსპექტორისაგან მიპატიჟებული ქალაქის საზოგადოება. საღამო გაიმართა სახელოსნო განყოფილების დარბაზში, რომელსაც იქვე გვერდით სასწავლებლის ბაღი არტყია. საღამოს პროგრამმა სულ ორის განყოფილებისაგან შესდგებოდა: პირველში მოსწავლეები ლექსებს ჰკითხულობდნენ და მღეროდნენ, ხოლო მეორე განყოფილებაში დადგმული იყო საბავშვო ერთ-მოქმედებიანი ოპერა — „Лисица и виноградъ“, ოპერაში ლამაზად იყვნენ ჩაცმულნი და როლსაც კარგად ასრულებდნენ მოსწავლენი: ტკაჩენკო, გ. ალხაზოვი, ნ. გუგუშვილი და კ. ცინცაძე.

ბოლოს, განმეორებით, ქებას ვუძღვნით-რა იმათ, რომელნიც საზოგადო საქმისათვის გაისარჯნენ, არ შევიძლიან არ აღვნიშნოთ ის სიყალბე და ჭორი, რომელიც ზოგიერთ კორესპონდენტებს აქედგან გაზეთის ფურცლებზედ გააქვთ აქაურ მშრომელ მანდილოსნების საწინააღმდეგოდ. ნაცვლად იმისა, რომ ქება უძღვნას მანდილოსანს, სახალხო წიგნების გამსყიდველ-გამავრცელებელს, ქველ-მოქმედთ და სცენის მოყვარე ქალებს, იგი გამოდის და „შავი-ზღვის მაუწყებლის“ ფურცლებზედ უსაფუძვლოდ უკიჟინებს იმას რაც არ ჩაუდენიათ. ბოლოს კორესპონდენტი ჰბრძანებს: „ქართული წარმოდგენის ბილეთებს ქალები ძალად აჩეჩებდნენ ხელში მუშტრებს, რომლებიც ხშირად უარს ამბობდნენ და ამ შემთხვევით ქალები წითლდებოდნენ და უკან მიდიოდნენო“. ეს ამბავი კორესპონდენტის სიყალბის ნაყოფია და ცილის წამება, რადგან წარმოდგენის ბილეთების ყიდვა არამც თუ არ დაუძალებიათ ვინმესათვის, არამედ წინდა-წინ ადრე იხვეწებოდნენ ბილეთებს, ისე თავის თავად დაიტაცეს, ასე რომ ბევრი, თვით ამ ვაჟბატონსაც ნანახი უნდა ჰყავდეს, — უბილეთობის გამო წარმოდგენას ვერ დაესწრო. მეორე კორესპონდენტს თქვენი გაზეთის ფურცელზედ (103) შემოაქვს უსაფუძვლო ამბავი: ქ-ნ კახიძის თაოსნობით სცენის მოყვარენი წარმოდგენას აპირებენო, ერთი „ცნობის ფურცელში“-კი იძახის, „მისი თაოსნობით“ გაიმართაო. ჩვენ არა ნაკლებ პატივს ვცემთ ქ-ნ კახიძისას, როგორც მხნე მანდილოსანს, მაგრამ ვერ მივაწერთ იმას, რაც არ მიეწერება, რადგან ეს უხერხულად მიგვაჩნია. ასეთი სიცრუის გამომჟღავნება, როგორც სხვებს, ისე ქ-ნ კახიძისასაც საწყენად დაურჩა, რადგან იგი იმ ჯურის ადამიანს არ ეკუთნის, რომელიც სხვისას დაიინაებს. წარმოდგენაში ქ-ნი კახიძისაც ისეთი მონაწილე იყო, როგორც ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა და ქ-ნი ა. კავთელი. ხოლო რაც შეეხება წარმოდგენის მეთაურობას და გამართვას, ამ საქმეს სათავეში უდგნენ იმ კომისიის წევრნი, რომელთაც სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვა დაევალა.

ი. კოხრეიძე.

# რუსეთი

საერო განათლების სამინისტროს, სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, აზრადა აქვთ სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა კრება მოახდინოს. ამ კრებაზედ ლაპარაკი იქმნება უნივერსიტეტის ზოგიერთ საქმეების შესახებ. მოწვეულნი არიან ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველნი. კრება უნდა დაწყებულიყო რვა ივნისს, საერო განათლების მინისტრის ნ. პ. ბოგოლეპოვის თავმჯდომარეობით.

— 1 ივნისიდგან დაიწყო თხოვნების მიღება იმათგან, ვისაც ჰსურს სამხედრო სამკურნალო აკადემიაში შევიდეს. წელს მიიღებენ ამ აკადემიაში როგორც პეტერბურგისა, აგრეთვე სხვა ქალაქების გიმნაზიებში სწავლა-დამთავრებულთ, რომელთაც მოწმობები აქვთ მიღებული. თხოვნების გაგზავნა 15 ივლისამდე შეიძლება.

— მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრადა აქვს ამ მომავალ სამოსწავლო წლისათვის დააარსოს რუსეთის სხვადა სხვა ადგილას 15 ახალი სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

# უცხოეთი

**ინგლისი და ტრანსვაალი.** ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ამ ორ სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულება გამწვავებულია, მაგრამ უკანასკნელად საქმე იქამდის მივიდა, რომ ომის შესახებაც-კი დაიწყეს ლაპარაკი. ინგლისი თხოულობს, რომ ტრანსვაალის მთავრობამ გაუადვილოს იქ მცხოვრებ უცხოელებს ტრანსვაალის ქვეშევრდომობის მიღება და მოსპოს სახელმწიფო მონოპოლია ასაფეთქ მასალებზე. ტრანსვაალის მთავრობა და მასთან ერთად პარლამენტიც ამის წინააღმდეგნი არიან, რადგან საფუძვლიანად შიშობენ, რომ ინგლისის მოთხოვნილება თუ იქმნა დაკმაყოფილებული, მთელი ტრანსვაალი ინგლისელებით გაივსება, ადგილობრივ მკვიდრთ, რომელიც აქ დაბადებულან და გაზრდილან, ინგლისელები გადააჭარბებენ რიცხვით, რადგან ისინი ეხლაც ბევრნი სცხოვრობენ აქ და მერმე კიდევ უფრო ბევრი მოვლენო და ამ რიგად ტრანსვაალი დამოკიდებულებას დაჰკარგავს და ინგლისის ახალშენად გადაიქცევაო. ინგლისი თავისას არ იშლის და ყოველ ღონის ძიებას ხმარობს თავისი შესრულოს.

როგორც ვიცით, ამ რამდენიმე კვირის წინად პრეტორიაში შეთქმულობა აღმოაჩინა პოლიციამ ტრანსვაალის წესწყობილების წინააღმდეგ. დამნაშავენი შეპყრობილი და სამართალში მიცემულ იქმნენ. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა შეთქმულთა მოთავე, პეტერსონი, ინგლისის ცხენოსანთა ჯარის კაპიტნად ნამყოფი ყოფილა; შეთქმულებს ხელმძღვანელობდა თურმე ინგლისიდგან ამ საქმისათვის საგანგებოდ მოსული გენერალი; ინგლისიდგან კიდევ მოელოდნენ ერთს არტილერიის აფიცერს. ერთ უმთავრეს ბრალდებულს, სახელდობრ ნიკოლს, უჩვენებია, რომ დარიგებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მემოქმედნა, ინგლისის სამხედრო სამინისტროდგან ღებულობდით და დაიმედებული ვიყავით, რომ ბევრი ინგლისელი აფიცერი მოგვეშველებოდაო. პეტერსონისა და ნიკოლსისათვის ინგლისის მთავრობას გაუგზავნია დამცველები.

## პატარა შენიშვნა

რუსეთში მწერალთა და საზოგადოდ ბეჭდვითის სიტყვის მსახურთ ერთი მშვენიერი ჩვეულება დასჩემდათ. მე ვამბობ საქველ-მოქმედო აზრით, რომელიმე კეთილი საქმის სასარგებლოდ, ან რომელისამე შესანიშნავ შემთხვევის სახსოვრად შესაფერ კრებულების გამო-

ცემის შესახებ. ზევრჯელ კარგა მალი ფული შეგროვილა ამ კრებულების წყალობით დანიშნულ აზრისათვის. აი, ეხლაც დიდი ფულია შეგროვილი სომხეთა სასარგებლოდ გამოცემულ კრებულის შემწეობით, რომელსაც ეწოდება „Братская помощь". მე მგონია, რომ არ იქნებოდა ურიგო, ჩვენც შემოგვეღო ეს მშვენიერი ჩვეულება და ამ ნაირად ყოველ შესაფერ შემთხვევაში ერთის დაკვრით ორი საქმე გაგვეკეთებინა: ხალხში დაგვევრცელებინა საინტერესო შინაარსის წიგნი და ცოტაოდენი ფულიც შეგვეკრიბა ამა თუ იმ საჭიროებისათვის. ამას წინადაც, როცა წყალდიდობამ და დიდმა ზამთარმა შესამჩნევად დააზარალა ჩვენი ხალხი, გამოვთქვი მე ეს აზრი; ზევრმა კიდეც თანაუგრძნო და ქუთაისში კიდეც შეუდგნენ მასალის შეკრებას კრებულისათვის იქაური ახალგაზდა ინტელიგენტები, მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზით, საქმე ვერ დაბოლოვდა და კრებული ვერ გამოიცა. მე მგონია, რომ ახლა მაინც, როცა კიდევ უფრო დიდი საჭიროება გვაქვს წინ, უნდა ვიზრუნოთ ამისათვის და მცხეთის ტაძრის განსაახლებელ ფონდის სასარგებლოდ გამოვცეთ შესაფერის შინაარსის კრებული ქართველმა მწერლებმა და ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლებმა.

არ დავიჯერებ, რომ თუ-კი ამ საქმეს იკისრებს ვინმე, ან რომელიმე ჟურნალ-გაზეთის რედაქცია, ან „წ. კ. გ. საზოგადოების" გამგეობა, ან რომელიმე გამომცემელი საზოგადოება და კერძო გამომცემელი, ან რომელიმე ქართული სტამბა *), მატერიალური და ზნეობრივი დახმარება არ აღმოუჩინოს ყველამ, ვისაც შეუძლიან, და საქმე არ დაგვირგვინდეს. ძნელი აქ არაფერია, ოღონდ ითავოს ვინმემ და გამოაცხადოს კრებულის გამოცემის შესახებ. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ისტორიის მცოდნენი შესაფერ ისტორიულ მონოგრაფიებს დაამზადებენ კრებულისათვის, არქეოლოგნი, პალეოგრაფნი და სხვა სიძველეთა მოყვარულნი არქეოლოგიურ სურათს დაგვიხატავენ მცხეთის ტაძრისას და გაგვაცნობენ მას არქიტექტურის მხრივ, აგრეთვე შეგვატყობინებენ ტაძარში დაცულ მხატვრობათა, ხელნაწერთა, წარწერათა და სხვა სიძველეთა მნიშვნელობას. ჩვენი პოეტები და ბელეტრისტები და საზოგადოდ ყველა ჩვენი ცნობილი მწერლები, რასაკვირველია, უსასყიდლოდ დაუთმობენ კრებულის გამომცემელს თავიანთ საუკეთესო ნაწერებს. ჩვენს სტამბების პატრონები და თვით ქართველი ასოთამწყობნი და სხვანი უსასყიდლოდ იმუშავებენ და ამ ნაირად სრულიად უხარჯოდ **) დამზადდება საუკეთესო ქართული წიგნი, რომელიც ქართველ საზოგადოებას ერთის მხრივ გააცნობს დაწვრილებით მცხეთის ტაძარს და მისცემს საუკეთესო გონების საზრდოს და მეორეს მხრივ თვით ამ ტაძრის განახლებას მცირედაც არის ხელს შეუწყობს.

მაშ, ითავეთ, ბატონებო, ეს საქმე და შემდეგ მიეცით ყოველ ქართველ ბეჭდვითი სიტყვის მსახურს და მეთხველს შეიტანოს თავისი წვლილი მცხეთის ტაძრის განსაახლებლად.

დუტუ მეგრელი

*) ეგებ თვით კომიტეტმაც იკისროს ეს საქმე და გამოსცეს შესაფერი კრებული როგორც ქართულად, ისე რუსულადაც.

ავტ.

**) მხოლოდ ქაღალდი-ღა იქმნება სასყიდელი, თუმცა შეიძლება ვინმემ უფასოდ დაუთმოს კრებულს, ან საჭირო ფული მიაწოდოს.

ავტ.

---

## დამაკვირდი

გაჭირვება გამოცდილებათა მშობელია.

ბ. დ—შვილი

* * *

ღმერთი კაცსა ჟამსა მისცემს, კაცი მტერსა არ ადროებს.

როსტომ გმირი

* * *

თუ გსურს სცნა, ვითარი კაცი ვითარს კილოზე გიუბნობს შენ, გაუსინჯე თვალნი და შეიტყობ.

ლასურიძე

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

„Indep. Belge"-ში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ჯარი ჰყავს ევროპის სახელმწიფოებს და თითოეულ მათგანს რა უჯდება ამ ჯარის შენახვა. ამ ჟამად მთელს ევროპაში, ამბობს გაზეთი, 4 მილიონი შეიარაღებული და საომრად მომზადებული ჯარის-კაცია, რომლის შენახვასაც 5 მილიარდი მანეთი უნდება. ომის დროს ეს რიცხვი შეიძლება გაორკეცებულ იქმნას. საფრანგეთსა ჰყავს მშვიდობიანობის დროს 586,000 ჯარის-კაცი, რუსეთს—900,000, გერმანიას—580,000, ავსტრიას—358,000, იტალიას—258,000, ინგლისს—254,000 (ამ რიცხვს მილიციაც და თავისუფალი მეომარნიც თუ მიუმატეთ—720,000), ოსმალეთს—350,000, ესპანიას—129,000, რუმინიას—60,000, ბელგიას—50,000, შვეციას—40,000, ნორვეგიას—20,000. ეს ხმელეთის ჯარია, ზღვაოსანთა რიცხვი ხუთის დიდის სახელმწიფოსი—250,000 კაცი იქნება.

საფრანგეთს ყოველ წელიწადს ჯარის შენახვა უჯდება—937 მილიონი მანეთი, რუსეთს—889 მილიონი, გერმანიას—918 მილიონი, ავსტრო-უნგრეთს—402 მილ., იტალიას—385 მილ. ინგლისს—1,004 მილიონი

ომის დროს დიდმა სახელმწიფოებმა დღეში უნდა გაიღონ: გერმანიამ—25½ მილიონი მანეთი, ავსტრიამ—13 მილიონი, იტალიამ—12.800,000, საფრანგეთმა—25½ და რუსეთმა—28 მილიონი.

ეს კიდევ ცოტაა. რადგანაც ომში გაჰყავთ ახალგაზდა, ჯან-ღონით სავსე მუშები, სახლში-კი მხოლოდ მოხუცებულნი და ბავშვები რჩებიან, რომელთაც თავის დარჩენა არ შეუძლიანთ, ამიტომ სახელმწიფომ ამ უკანასკნელთათვისაც უნდა იზრუნოს და ფული გაიღოს იმათ შესანახად. ამ რიგად ომმა რომ ერთი წელიწადი გასტანოს, ყველა ზემოდ დასახელებულ ხარჯს თუ ჩავთვლით, გერმანიას დაუჯდება ომი 10 მილიარდი 681 მილ. მანეთი, ავსტრიას—5 მილიარდი 827 მილიონი, საფრანგეთს—10 მილიარდი 727 მილიონი და რუსეთს 11 მილიარდი 756 მილიონი.

* * *

როგორც ინგლისური გაზეთები იუწყებიან, ამას წინად მეტად სასაცილო საქმე შემთხვევია ერთს ლამაზს ინგლისელს მანდილოსანს, არისტოკრატიის წრის ქალს. 1887 წელს მდიდარს ლორდს ჯონ ბლეკდელ-ლეიტს შეურთავს სილამაზით სახელგანთქმული, ახალგაზდა როზა ებერხეენი. რამდენსამე წელიწადს ცოლ-ქმარნი ტკბილადა და კარგად სცხოვრობდნენ თურმე, მაგრამ მხოლოდ რამდენსამე წელიწადს; სულ სამი კვირაა, რაც სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა, რომლის ძალითაც ცოლ-ქმარნი განქორწინებულ იქმნენ. საქმე ასე ყოფილა.

ჯონ ბლეკდელ-ლეიტთან ხშირად დაიარებოდა ხოლმე იმის მეზობელი ლორდი კოტტენგემი, ქალების დიდი მოარშიყე და დონ-ჟუანი. მალე ბლეკდელ-ლეიტმა შენიშნა, რომ როდესაც მეზობელი ლონდონში მიდიოდა სხვა-და-სხვა საქმეების გამო, იმისი ცოლიც სწორედ მაშინ გაუდგებოდა ხოლმე ლონდონისაკენ სავაჭროებისათვის, პირველად ყურადღება არ მიაქცია ამ გარემოებას, მაგრამ შემდეგ ეჭვები შეეპარა. ბოლოს დაძმარებულმა ქმარმა საქმის გამორკვევა თავისს ვექილს მიანდო. ამ სამის კვირის თუ ერთის თვის წინად ვექილი, ორი მოწმე და პოლიციელი ლონდონის ერთს სასტუმროს მიადგნენ. მოძებნეს ამ სასტუმროში მე-10 №-ი და კარებში დააკაკუნეს. რადგანაც პასუხი არავინ გასცათ, კარები შეამტვრიეს და ოთახში... ლორდი კოტტენგემი-კი დაინახეს. ამასთან თვალი მოჰკრეს ახდილ ყუთს, რომელშიაც ქალის ტანისამოსი ელაგა. აშკარა იყო, რომ ოთახში ახალგაზდა ლორდის გარდა, ქალიც უნდა ყოფილიყო. შეუდგნენ ძებნას, ყველა კუთხე გაჩხრიკეს, მაგრამ ქალის კვალს მაინც ვერსად მიაგნეს. ის იყო იმედ-გაცრუებული ვექილი და იმის თანამგზავრნი წასვლას აპირებდნენ, რომ შკაფში ვიღაცამ ცხვირი დააცემინა. მაშინვე გააღეს შკაფის კარი და ჩამოკიდებულ ტანისამოსს უკან რაღაც თეთრი დაინახეს. ვექილმა შკაფის კარები ხელ-ახლა მიხურა და გარედგან შიგ მყოფს შეეკითხა:

— ქალბატონო, გამოტყდით, რომ თქვენ მისტრის როზა ბლეკდელ-ლეიტი ბრძანდებით?

— დიაღ, მე გახლავართ.

— გმადლობთ მილედი... და ყველანი გარეთ გამოიკრიბნენ.

ერთის კვირის შემდეგ სასამართლოს დარბაზში მოსამართლემ გამოაცხადა: მეუღლენი ბლეკდელ-ლეიტნი განქორწინებულ იქმნენო.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივნისი

**ხაბაროვსკი.** დიდი მზადება არის იაპონიის ტახტის მემკვიდრე პრინცის სრულ წლოვანობის სადღესასწაულოდ. ტახტის მემკვიდრე პრინცი ოსიხიტო ხორუნომია დაიბადა 1879 წლის 31 აგვისტოს.

წლეულს იაპონია 50 სტუდენტის მაგიერ 80-ს გაჰგზავნის ევროპაში.

**პარიჟი.** დღეს, შუადღისას, პრეზიდენტმა ლუბემ ბურჟუას დეპეშა გაუგზავნა გააგაში და ახალ კაბინეტის შედგენა სთხოვა. ლუბეს თათბირი ჰქონდა ბრისონთან.

**პარიჟი.** ბურჟუა მოვიდა დღეს, დილით, და 8 საათ. 45 წუთ. დელკასესთან ერთად ელისეს სასახლეში წავიდა. პრეზიდენტ ლუბესთან ბურჟუამ ითათბირა 45 წუთს, შემდეგ ნახა დელკასე, ბრისონი და რამდენიმე პოლიტიკური მეგობარი. დღესვე დაბრუნდება ის ელისეს სასახლეში. ძლიერ საეჭვო არის, რომ იმან ახალის კაბინეტის შედგენა იკისროს.

**პარიჟი.** ბურჟუამ გამოუცხადა ლუბეს, რომ არა მსურს მთავრობას დავუდგე სათავეში და გააგაში უნდა დავბრუნდეო, მაგრამ ვნახავ ჩემს პოლიტიკურ მეგობრებს, რათა გავუადვილო მათ კაბინეტის შედგენაო: ჰფიქრობენ, რომ ბოლოს დელკასეს მიანდობს პრეზიდენტი ამ საქმესო.

**კონსტანტინეპოლი.** ეს რამდენიმე დღეა, რაც ბითლისის ვილაიეტში ორ ქურთის ტომს ერთი მეორესთან შეტაკება აქვს და სისხლი იღვრება. ამასთანავე გადასწვეს რამდენიმე სომხების სოფელი.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა შეიწყნარა დამატებითი კრედიტი სამხრეთ ოკეანეში კუნძულების შესაძენად.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება ცხენის ქურდობასათვის პასუხის მგებლობის გაძლიერების შესახებ.

**ალექსანდრია.** შავის ჭირით სულ 34 კაცი გახდა ავად; 18 მოკვდა, 11 მორჩა. ხუთშაბათს აქეთ არ უცნობებიათ, ვინმე კიდევ გახდა ავათ, თუ არა.

**ბომბეი.** სამხრეთ ინდოეთის ამბოხება ტრავანკირზედაც გავრცელდა. მეამბოხეებმა უკან დაახევინეს პოლიციას, მოიტაცეს საომარი იარაღი და ტყვია-წამალი და სასტიკად მოეპყრნენ მცხოვრებლებს. სამბოგრადში დასწვეს 450 სახლი.

**ბუხარესტი.** გუშინ 1500 გლეხი, რომელთა ერთი ნაწილი შეიარაღებული აღმოჩნდა, როგორც „რუმინიის სააგენტო" იუწყება, სცდილობდა სალატინში შესულიყო ვითომ იმ განზრახვით, რომ მომხდარ საპარლამენტო არჩევნების წინააღმდეგ საყვედური განეცხადებინა ვიღაც ბოგდან პიტეშტის გაშვებისათვის, რომელიც ანარქიულ მოძღვრებისთვის გაძევებულ იქმნა პარიჟიდგან. გლეხებს სთხოვეს გაფანტულიყვნენ, მაგრამ ამის ნაცვლად ისინი დაეტაკნენ მხედრობის რაზმს და დაუშინეს ქვები და კეტები; რამდენიმე კაცი დაიჭრა. სამჯერ ეცადნენ გაეფანტათ გლეხები, მაგრამ არ მოხერხდა, და შემდეგ ჯარმა თოფების სროლა დაიწყო ჯერ ჰაერში და შემდეგ გლეხებისკენ. ბევრი მათგანი დაიჭრა, ზოგნი სასიკვდილოდ. ბოლოს მშვიდობიანობა აღდგენილ იქმნა. უწესოების მოთავენი დატუსაღებულნი არიან. იმათ სასტიკი სასჯელი მოელით. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ არეულობის უმთავრესი მოთავე ბოგდან პიტეშტი ყოფილა, რომელიც შარშან ზამთარში სოციალისტთა მოძრაობის მოთავე იყო. რათა უწესოება ხელახლა არ განმეორდეს, მინისტრთა საბჭომ სასტიკი ღონის ძიებანი მიიღო.

10 ივნისი

**ლონდონი.** სათემო პალატა. უნდგემმა შეიტანა ბილი სამხედრო შენობათა აგების შესახებ, რომლითაც მოითხოვა 4 მილიონ გირვანქა სტერლინგის სესხად აღება მტრის მოსაგერებლად და ყაზარმებისა და ციხე-სიმაგრეთა ასაგებად გალიფაქსსა, გიბრალტარსა, მალტასა და ვეი-ხაი-ვეიში. უკანასკნელ ადგილში იქმნება თითო როტა ინგლისისა და ჩინეთის მეციხოვანე ჯარი, ორი როტა ინგლისის ქვეითა ჯარი და ექვსი როტა ჩინეთის ქვეითა ჯარი.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. ბიულოვმა დაასაბუთა პროექტი კოროლინის კუნძულთა შეძენის შესახებ და დაამტკიცა, რომ ამ კუნძულთა შეძენა შეავსებს გერმანიის სამფლობელოს დიდს ოკეანეზედ. ეს კუნძულები ეკონომიურად ძალიან განვითარდებიან. ნიადაგი ნაყოფიერია. ფასი მეტის-მეტად ზომიერია. დამოკიდებულება მეზობლებთან —იაპონიასა და ამერიკასთან კიდევ უფრო სანდობი შეიქნა. რეიხსტაგმა მიიღო პროექტი.

**პარიჟი.** ბურჟუამ საღამოს გადაწყვეტით უარჰყო მინდობილება კაბინეტის შედგენის შესახებ. ლუბე მიიწვევს ხვალ სხვას ვისმე,—ძალიან შესაძლებელია, ვალდეკ-რუსოს, რომელიც, როგორც ისმის, აპირებს განაახლოს მოლაპარაკება ახალს საფუძველზედ.

**პარიჟი.** ბურჟუამ გადასწყვიტა პარიჟში დარჩეს, ვიდრე კაბინეტი შესდგებოდეს, რათა გაუადვილოს მოლაპარაკება ამ საქმისათვის მოწვეულ კაცთ.

**ბუდა-პეშტი.** დეპუტატთა პალატამ დაიწყო შეთანხმების პროექტის განხილვა. პარლამენტის წრეების აზრით, კამათი გასტანს ორ კვირამდე. პროექტის მიღება შესამჩნევის უმრავლესობის მიერ უეჭველ საქმედ მიაჩნიათ.

**ლონდონი.** სათემო პალატა. თითქმის ხუთის საათის კამათის შემდეგ უნდგემის განაჩენი მოღებულ იქმნა 241 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 66 ხმისა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ესმა აფრასუხის ასულს ასამბაძეს, რომლის მეცადინეობით შეკრებილი იქმნა ქობულეთში 26 მან., 03 კაპ., ოზურგეთის ორ-კლასიან საქალებო სასწავლებლის სასარგებლოდ, და იმათ, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ამ ფრიად სასარგებლო საქმისათვის.

სახელი და გვარი შემომწირველთა: ფატი აფრასუხის ასულმა გორდელაძემ 1 მ., ესმა აფრასუხის ასულმა ასამბაძემ 2 მ., კოსტანტინე თედორეს ძე კილურაძემ 50 კ., ხუსეინ აღა ჯაშმა 20 კ., მოსე ინწკირველმა 1 მ., ირაკლი შავიშვილმა 1 მ., ძალუნა დოლიძემ 50 კ., იბრა თ.მ... 10 კ., მემედ აღამ 15 კ., სულეიმან აღამ 25 კ., ამბაკო სვანიშვილმა 20 კ., გიორგი გოჯასპირის ძე ინწკირველმა 50 კ., ბაგრატ დოლიძემ 50 კ., ნატალია აღამანის ასულმა 40 კაპ., იაკინთე გოგიტიძემ 50 კ., ელენე არსენის ასულმა ბაღდავაძემ 1 მ., ყუშუმ აღა ჰყონიამ 60 კ., ხუსეინ ეფენდი ხარაზ... 25 კ., ვასილ ამბაკოს ძე ნინიძემ 1 მ., სამსონ იოსების ძემ ნაკაიძემ 40 კ., ანესტი ივანეს ძემ სიმვულაძემ 50 კ., ვასილ იოსების ძემ სოზოლტ. 30 კ., ისვი გრიგოლაძემ 50 კ., სევერიანე ალექსის ძემ ტყავაძემ 40 კ., ვარლამ მერაბის ძემ ასანაძემ 40 კ., გიგო ალექსანდრეს ძემ ერქომაიშვილმა 50 კ., ერასტი წულ. 50 კ., ხუსეინ ცივაძემ 20 კ., ასმეტი მწყობილმა 15 კ., უსუფ წიხ... 20 კ., მალაქია სამსონიამ 20 კ., ქიშვარდი ჩიკვაიძემ 10 კ., მასიკო სიმონის ძე ასამბაძემ 08 კ., ისიდორე არობელიძემ 1 მ., გიორგი შოშიტაიშვილმა 10 კ., ირაკლი ურუშაძემ 40 კ., კოსმან იმინაიშვილმა 20 კ., მ. გოგიტიძემ 20 კ., პავლე გოგიტიძემ 20 კ., სევერიანე კასრაძემ 20 კ., ხოსო ბარამიძემ 20 კ., ოსმან აღა ვაჩ. 50 კ., მელიტონ მგელაძემ 20 კ., ვალოდი ქადიეიშვილმა 20 კ., ივანე სტუპ... 20 კ., დედი აღა ნიჟარაძე 1 მ., ესელა ეფენდი ცივაძემ 15 კ., მემაშ აღა იმნაიშვილმა 15 კ., ახმედ ეფენდიმ 09 კ., ხასან აღა თხილი ოღლიმ 20 კ., ხუშუტ აღა ღლონტმა 15 კ., სულეიმან აღა დიაზოღლიმ 3 კ., მემედ აღა მიქელაძემ 50 კ., ნიკოლაი იოსელიანმა 1 მ., ტიფონა სიხარულიძემ 20 კ., არიფ აღა მოწყობილმა 20 კ., ხასან ეფენდიმ 10 კ., იაკობ მამაიანმა 10 კ., კარაპეტ 50 კ., ხასამ 20 კ.

აგრეთვე უგულითადეს მადლობას ვუძღვნი მიხეილ ს. შარაშიძეს, რომელმაც სენაკში შეკრიბა ზემოხსენებული სკოლისათვის 11 მ.

სია შემომწირველთა: სამსონ ყიფიანმა 1 მ., გ. მ. წულუკიძემ 1 მ., ი. მ. გომელაურმა 1 მ., მიხეილ ს. შარაშიძემ 3 მ., ივანე ვასილის ძემ კალანდაძემ 1 მ., ვლადიმერ კოსტანტინეს ძემ შევარდნაძემ 1 მ., გიორგი ლავრენტის ძემ ბოკერიამ 1 მ., სიო თავართქილაძემ 1 მ., ალექსი ლუკას ძემ შარაშიძემ 1 მ.

მადლობას ვუცხადებ კიდევ ნიკიფორე მამინაიშვილს, რომელმაც შემოსწირა ზემოხსენებულ სკოლის სასარგებლოდ 3 მანათი.

ხაზინადარი მზეხა ხუნდაძისა.

---

Дозволено цензурою, Тифлисъ 10-го Іюня 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე